კითხვა პასუხები

ქრისტიანთათვის

პროექტი: „წაიკითხე და მიიღე ისლამი“

მოამზადა: ზურა ზოსიძემ

მუსლიმთა ტრიბუნა

სამება

კითხვა: რას ნიშმავს სამება და არის იგი სწორი?
პასუხი: სამებას განმარტავენ ასე: “მამა ძე და სული წმინდა” სინამდვილეში არამეულსა და ებრაულში ქრესტომათიული განმარტება “მამა” გამჩენს ნიშნავა და “ძე” გაჩენილს ანუ ისინი გადატანითი მნიშვნელობითაა ნათქვამი.
მამა ანუ უზენაესი ღმერთი ძე ანუ მის მიერ მოვლენილი იესო (ა.ს) და სული წმინდა კი მთავარ ანგელოზი გაბრიელი. ისინი სულ სხვადასხვა პიროვნებებია და სულ არ არის ერთი.

კითხვა: იესო ღმერთია? მხოლოდშობილი ძეა?
პასუხი: არა იესო ამბობს:
უთხრამას იესომ: ნუ შემეხები, რადგან ჯერ კიდევ არ ავსულვარ მამასთან: წადი და ჩემს ძმებს უთხარი: მამაჩემსა და მამათქვენთან ავდივარ, ჩემს ღმერთსა და თქვენს ღმერთთან
(იოანეს სახარება 20:17)
“მამაჩემთან და მამათქვენთან ავდივარ” ანუ ღმერთი მხოლოდ იესოს მამა არ ყოფილა ის ყველა ჩვენგანის მამა ყოფილა. გავისხსენოთ თუ იესო სამებაში იმიტომ არის რომ ის ღმერთის ძეა (მხოლოდ მან არაა ყველა ასე გამოვდივათ ყველა მისი ძე გამოვდივართ) მაშინ სამებაში ჩვენც ვართ ყველა გაჩენილი და სამება კი არა მილიარდება გამოდის თუ ყველა მისი შვილია და ყველა მისი შვილები ვართ ასე გამოდის.

იესო ღმერთი არ ყოფილა რადგან მსგავსი რამ არ უთქმია იესოს რო “მე ღმერთი ვარ” ან მსგავსი მიმანიშნებელი სიტყვები. ქრისტიანებს მხოლოდ ის არგუმენტი აქვთ რომ იესო ღმერთის შვილია და ღმერთის შვილიც ღმერთიაო, მაგრამ ასე აღმოჩნდა რომ ყველა ღმერთის შვილები ვართ და ყველა ღმერთები ვართ? ესთაღფირულლაჰ (ღმერთმა გვაპატიოს ასეთი უვიცობა).

კითხვა:
იესო ღმეეთის ძეა? თუ არაა დაასაბუთეთ
რა არის ამ გაურკვევლობის მიზეზი?
პასუხი:
სახარება დაიწერა არამეულ ენაზე ანუ ორიგინალ ენად ითვლება არამეული. მაგრამ დღეს მხოლოდ რაღაც ფურცლებია აღმოჩენილი არამეულიდან და მისი კვევისას დააკვირდნენ რომ არამეულში წერია “ღმერთი” და “წარმოგზავნილი” ხოლო ზუსტად ამ თავის იმდროინდელ ბერძნულ ენაზე ნათარგმნში “მამა” და “ძე”. ამის მიზეზი ბევრია მაგრამ მე ერთს გადმოგცემთ.
სახარება დაიწერა არამეულზე და პირველად ითარგმნა ბერძნულზე და გაქრა არამეული დარჩა შემცვლელი ბერძნული და იქიდან გადაითარგმნა ყველა ენაზე. მაგრამ აქ საქმე იმაშია რომ ბერძნბმა მათ მითოლოგიას მოარგეს, ანუ

მათი ღვათებების ზევსი ათენი აპოლონი და სხვა მათი ტრადიციულ კულტურულ ღვთაებებს ჰყავდა შვილები და მათი შვილები ეძახდენ მამას ან “მამა ღვათებას” და მათ შვილებს რომლებიც ადამიანები იყვნენ “ღვთის შვილებად” მოიხსენიებდნენ. ხოლო როცა ითარგმნა ბერძნულზე მათ ისე გაიგეს როგორც იგებდნენ მათ კულტურაში და ქვეყანაში.

კითხვა:
რას უწოდებენ იესოს ისლამის თანახმად?
პასუხი:
იესოს ისლამი მოიხსენიებენ შემდეგი წოდებებით და სახელებით: მესიჰი (მესია ანუ ბოლო წინასწარმეტყველის მაუწყებელი და არა მხსნელი და რაღაც ამის მაგვარი) რუჰულლაჰი (ღვთის სული) ქელამულლაჰი (ღვთის სიტყვა) და იესო იბნი მერიემი (იესო ძე მარიამისა).
სიტყვა ღვთის ძე არის გადატანითი მნიშველობის.

კითხვა: მუჰამმედი ბიბლიაში ნახსენებია?
პასუხი: კი როგორ არა სიტყვა აჰმედით მოიხსენება ბიბლიაში.
ბიბლიაში კერძოდ ესაია წინასწარმეტყველის 42 თავის პირველ სტრიქონში დავინახავთ სიტყვა: აჰმად (אחמד).
რომელიც ნათარგმნი აქვთ როგორც "მორჩილი" და მის მოსვლაზე გვაუწყებს უფალი.
ესაია წინასწარმეტყველი თავი 42 יְשַׁעְיָהוּ

א הֵן עַבְדִּי אֶתְמָךְ-בּוֹ, בְּחִירִי רָצְתָה נַפְשִׁי; נָתַתִּי רוּחִי עָלָיו, מִשְׁפָּט לַגּוֹיִם יוֹצִיא.

1. აჰა ჩემი აჰმედი (ქრისტიანებმა თარგმნეს როგორც "მორჩილი") რომელზეც ხელი მაქვს ჩავლებული; ჩემი რჩეული რომელიც მოისურვა ჩემმა გულმა, მასზე გარდმოვავლინე ჩემი სული, ის გაუჩენს სამართალს ხალხს.

ב לֹא יִצְעַק, וְלֹא יִשָּׂא; וְלֹא-יַשְׁמִיעַ בַּחוּץ, קוֹלוֹ.

2. ის არ იყვირებს და არ აუწევს ხმას, არავის გააგონებს თავის ხმას ქუჩაში.

ג קָנֶה רָצוּץ לֹא יִשְׁבּוֹר, וּפִשְׁתָּה כֵהָה לֹא יְכַבֶּנָּה; לֶאֱמֶת, יוֹצִיא מִשְׁפָּט.

3. გადატეხილ ლერწამს არ დალეწავს და მბჟუტავ პატრუქს (სანთელს) არ ჩააქრობს, სამართალს სამართლით გააჩენს.

ד לֹא יִכְהֶה וְלֹא יָרוּץ, עַד-יָשִׂים בָּאָרֶץ מִשְׁפָּט; וּלְתוֹרָתוֹ, אִיִּים יְיַחֵלוּ.

4. არ შედრკება და არ მოეშვება, ვიდრე ქვეყნად სამართალს არ დაამყარებს, მის რჯულს მოელიან ზღვისპირელნი.

კითხვა: იესომ გვაუწყა მუჰამმედის მოსვლა?
პასუხი: დიახ იესო ამბობს:
“ვთხოვ მამას რო მოგივლინს სხვა ნუგეშოსმცემელს”
(იოანეს სახარება 14:16)

იესო (მშვიდობა მას) ამბობს რომ იგი სთხოვს ღმერთს და სამყაროს მის მერე სხვა ნუგეშისმცემელს მოუვლინოს.

“ჭეშმარიტების სულს რომელსაც ვერ შეიყვარებს ქვეყანა”
(იოანეს სახარება 14;17)

მართლაც იგი არ მიიღეს ქრისტიანებმა და ებრაელებმა რადგან იგი იყო არაბი მაგრამ არ გაუთვალისწინებია რომ წინასწარმეტყველი მუჰამმედის (ს,ა,ვ) დედა იყო ებრაელი ხოლო მისი მამა აბრაამის შვილის ესმაელის საუკეთესო შვილის კედარის პირდაპირი შუამავალი.

თუ გავიხსენებთ იოანე ნათლისმცემელის (იგივე იაჰია შუამავალი) ისტორია როცა ჰკითხეს იოანეს შენ მესია ხარ? იოანემ უპასუხა 'არა'. შემდგომ ჰკითხეს ელია (ილიას შუამავალი რომელიც ჰიზირის ერთად ცოცხალია წარღვნამდე) ხარ? იოანემ უპასუხა 'არა'. შემდგომ ჰკითხეს: შენ წინასწარმეტყველი ხარ? იოანემ მიუგო: 'არა'.

(სრულად იხილეთ: იოანეს სახარება თავი 1)

აქედან ჩანს იესოს მოსვლამდე რომ უნდა მოსულიყო ელია (ეს ნებისმიერ დღეს შეიძლება, დღესაც) მესია და წინასწარმეტყველი. რათქმაუნდა მესია იყოს იესო (მშვიდობა მას) ხოლო წინასწარმეტყველი ვინაა თუ არა მუჰამმედი? თან იესო ამბობს: „მოგივლენთ სხვა ნუგეშისმცემელს“, ან კიდევ „როცა მოვა იგი სული ჭეშმარიტებისა“ ვისზეა აქ საუბარი თუ არა მუჰამმედზე როცა რომ მისი სახელი ახმედი მოხსენიებულია ძველ აღთქმაში (იხ. ესაია წინასწარმეტყველი თავი 42) ასევე ახალ აღმოჩენილ ბარნაბას სახარებაშიც ახმედის მოსვლას იუწყება იესო (აპოკრიფად იმიტომ მიიჩნიეს).

ღვინო და ღორი

კითხვა:
ღვინო და ღორის ხორცი ნებადართულია ქრისტიანობაში?

პასუხი:
აკრძალულია ბიბლიაში ვკითხულობთ:

“გიჯობს არც ხორცი ჭამო არც ღვინო სხვა და არც ისეთი რამ აკეთო, რაზეც კი შეიძლება შენმა ძმამ წაიბორძიკოს”
(რომაელთა მიმართ 14/21)

“ღორი რომელსაც ჩლიქი გაპობილი აქვს მაგრამ არ იმცოხნის უწმინდურია თქვენთვის, მისი ხორცი არ შეჭამოთ, მის ლეშს არ მიეკაროთ უწმიმდურია ის თქვენთვის”
(ლევიანტი 11/7-8)

კერპი და ხატი

კითხვა: კერპი და ხატი მიღებულია ქრისტიანობაში? შეიძლება მათზე ლოცვა?
პასუხი: ბიბლიაში ვკითხულობთ:

“არ გაიკეთო კერპი და არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვემოთ”
“და არ სცე მათ თაყვანი, რადგან მე ვარ თქვენი უფალი”
(გამოსვლა 20/14-15)

“რომ არ გაირყვნათ და არ გაიკეთოთ ქანდაკი, რაიმე კერპის ხატი მამრის თუ მდედრის გამოსახულება”
(მეორე რჯული 4:16)